22. იმ განცხადებებისა და საჩივრების გარშემო წარმოებული მიმოწერის მასალები, რომელთა განხილვა დამთავრებულია, უნდა ინახებოდეს ცალკე ყდაში იმ მუშაკებთან, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან მათ აღრიცხვაზე და მოძრაობის კონტროლზე.

თითოეულ საქმეში (ყდაში) ცნობების მოძებნის გასაადვილებლად, უნდა ინახებოდეს მასში მოთავსებული საქმეების სია.

23. საჩივრებისა და განცხადებების ჩაბარება არქივისათვის ხდება საარქივო სამმართველოს მიერ დაწესებულ წესისა და ვადების შესაბამისად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილება

1974 წლის 10 იანვარი

**1974-1975 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ახალი, 1973-1974 სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ მნი'შვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლების, სკოლამდელი, სკოლა-იხტერხატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას.

სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, 1974-1975 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას.

სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, 1974-1975 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლე-

სი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) 1974-1975 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს, ქალაქებს, სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის და აღებული ვალდებულებები განათლების სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს წარმოუდგინონ ა/წლის 1 მარტამდე;

ბ) სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის ადგილებზე შექმნან კომისიები და სათანადო კონტროლი გაუწიონ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, შემოწმების შედეგები პერიოდულად განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და პროფკავშირის რაიონული (საქალაქო) კომიტეტების სხდომებზე;

გ) საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში. არ დაუშვან სწავლებიდან ბავშვების ჩამოშორების არცერთი შემთხვევა, მიაღწიონ პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა VIII კლასამდე მთლიანად შენარჩუნებას.

ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ სასკოლო ქსელის გაფართოებისათვის, რათა შეიქმნას საჭირო პირობები საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად.

გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1974-1975 სასწავლო წლის გეგმის შესასრულებლად;

დ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სასკოლო, საბავშვო ბაღების, სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მიიღონ ზომები თითოეული ობიექტის

მშენებლობის დაწესებულ ვადებში დასამთავრებლად, ფართოდ გა-შალონ მუშაობა, რათა განხორციელდეს სკოლებზე საკლასო ოთა-ხებისა და სპორტული დარბაზების მიშენება.

ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგა-ნოების დახმარებით საინიციატივო სასკოლო მშენებლობასა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ფართოდ ჩააბან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებუ-ლებები;

ე) მაღალხარისხოვნად ჩაატარონ სკოლების, სკოლა-ინტერნა-ტების, საბავშვო სახლების, ბაგა-ბაღებისა და საბავშვო დაწესებუ-ლებების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, სასკოლო ინვენტა-რის შეკეთება, სასკოლო ბიბლიოთეკების საჭირო ლიტერატურით, კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებით და თვალსაჩინო მასალებით შევსება-აღჭურვა. მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საკით-ხზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 23 ოქტომბრის № 1/1579 ცირკულიარული წერილით „ზოგადსაგან-მანათლებლო საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტების მოწყობ-ის შესახებ“;

ვ) უზრუნველყონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ეზო-კარმიდამოს სრულ წესრიგში მოყვანა, სპორტული მოედნების მოწყობა. სათა-ნადოდ გაუფრთხილდნენ და დაიცვან შენობები, სასკოლო ინვენტა-რი ,განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და პირობების დაცვის საქმეს;

ზ) დროულად შეზიდონ სკოლებში სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები, უზრუნველყონ, საბიბლიოთეკო ფონდში ჩა-რიცხულ ნახმარ სახელმძღვანელოებთან ერთად, მოსწავლეებზე ახალი სახელმძღვანელოების სწორად განაწილება;

თ) იზრუნონ სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოებისათვის; მიიღ-ონ ზომები სასკოლო ინტერნატებში მცხოვრები ბავშვების სწავლის, კვებისა და დასვენების ნორმალური პირობების შესაქმნელად;

ი) უზრუნველყონ მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯო-ბესება, სასადილოებისა და ბუფეტების ქსელისა და დასაჯდომი ად-გილების გაფართოება;

კ) მიიღონ ზომები ზამთრის სეზონისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მოსამზადებლად, ყურადღებით მოეკიდონ ცენტრალური გათბობის სისტემის სწორ ექსპლოატაციას;

ლ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას, შეუქმნან მასწავლებლებს შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები, უზრუნველყონ ყველა იმ შეღავათის აუცილებლად და დროულად განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია მთავრობის მიერ სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის;

მ) იზრუნონ ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთა და მასწავლებელთა დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის;

ნ) არსებული დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყონ ზაფხულის არდადეგების დროს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში რესპუბლიკის უფროსკლასელ მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობა;

ო) ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები დააჯამონ ა/წლის 20 სექტემბრისათვის და გამარჯვებულს გადასცენ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დაწესებული ჯილდოები;

პ) ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე მასალები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებითა და განათლების განყოფილების მოხსენებითი ბარათით წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1974 წლის 10 ოქტომბრისათვის.

2. შეიქმნას სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკური კომისია თ. ლაშქარაშვილის (კომისიის თავმჯდომარე), დ. იოსელიანის (თავმჯდომაის მოადგილე), ზ. ლომსიანიძის (პასუხისმგებელი მდივანი), მ. ქოჩაკიძის, რ. კანდელაკის, ა. კვაჭაძის, ჭ. გუჯეჯიანის, თ. ნიკოლაიშვილის, გ. აბდუშელიშვილის, გ. კბილაშვილის, ა. ქორქოლაძის, ს. უჩანეიშვილის, ნ. შველიძის შემადგენლობით.

3. დაევალოს კომისიას:

ა) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობას. რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და რაიონში შერჩევით შეამოწმოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს;

ბ) ა/წლის 1 ნოემბრამდე დააჯამოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და განსახილველად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს.

4. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძემ) სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 7 იანვრის ბრძანება № 9

### რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებაში მშრომელთა მიღებისა და განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

მშრომელთა მიღების ორგანიზაციისა და წერილების განხილვის გაუმჯობესების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 2 აგვისტოს № 525 ბრძანების შესასრულებლად, ქ. თბილისის 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების, ქ. ზუგდიდის, თელავის, საჩხერის, გურჯაანის, წითელწყაროს, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში მშრომელთა მიღებისა და განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმებამ ცხადყო, რომ დასახელებული ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები ჯეროვანი ყურადღებით ეკიდებიან მშრომელთა მიღებისა და განცხადება-საჩივრების დროულად განხილვის საქმეს. განათლების განყოფილებათა გამგეები პირადად ღებულობენ მოქალაქეებს და განუმარტავენ მათ საინტერესო საკითხებს.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებსა და სკოლებში მშრომელთა მიღების ორგანიზაციისა და განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებანი.

სახალხო განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ ძველი ნიმუშის ჟურნალებში აღნუსხავენ მიღებულ და გასულ წერილებს, ძალზე იშვიათად ახდენენ ზოგიერთი მათგანის კონტროლზე აყვანას. არაიშვიათად დაგვიანებით უგზავნიან პასუხს ისეთ საკითხზეც კი, რომლის გადაწყვეტა და პასუხის გაცემა დაუყოვნებლივ შეიძლება. განათლების განყოფილებები სისტემატურად არ ამოწმებენ

მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მშრომელთა მიღე-ბისა და წერილებზე რეაგირების მდგომარეობას, ზოგჯერ ამ საკით-ხის შესწავლა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის შედეგად ადგი-ლი აქვს ერთი და იგივე მოქალაქისაგან საჩივრის განმეორებით შე-ტანას ან ზემდგომ ორგანოებში გაგზავნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. კ. სუჯაშვილს) არ აქვს შემოწმებული და განხილული დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატში მოქალაქეთა მიღებისა და განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობა. 1973 წლის 1-დან 11 ოქტომბრამდე განხილული განცხადებებიდან ცხრა განცხადებას არ ახლავს რეზოლუცია.

წითელწყაროს რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლს, ამავე რაიონის ჯაფარიძის საშუალო სკოლას არ აქვთ დაწესებული მშრომელთა მიღების დღეები, არ აჰყავთ კონტროლზე წერილები, რომლებიც მტკივნეულ საკითხებს ეხება.

წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილება (ამხ. ნ. ბოსტოღანაშვილი) არ ამოწმებს მშრომელთა განცხადებების განხილვის მდგომარეობას ქვემდებარე დაწესებულებებში. განათლების განყოფილების წერილების სარეგისტრაციო ჟურნალში არ არის ნაჩვენები, რომელ საქაღალდეში ინახება ესა თუ ის განცხადება.

თბილისის საქარხნო რაიონის განათლების განყოფილებაში (ამხ. ღ. კალანდაძე) მიღებული შვიდი განცხადებიდან შემოწმების დროს არ აღმოჩნდა არც განცხადებები და არც მათზე გაცემული პასუხები.

ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებაში მშრომელთა მიღებისათვის დაწესებულია ყოველი კვირის ორშაბათი, 15-დან 20 საათამდე, რაც სრულებით არ არის საკმარისი.

შემოწმებული განათლების განყოფილებებიდან არც ერთს არ აღმოაჩნდა მშრომელთა მიღების სარეგისტრაციო წიგნი, ხოლო ზეპირი პასუხების აღრიცხვა არ აღმოაჩნდა მათს უმრავლესობაში.

მშრომელთა მიღების ორგანიზაციის, მათი წინადადებების, განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ამ მიმართებით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-

რეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განუხრელად გააუმჯობესონ მშრომელთა მიღებისა და წერილების განხილვის საქმე; მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისას მტკიცედ იხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების დადგენილებებითა და საქართველოს სსრ გახათლების სამინისტროს 1973 წლის 2 აგვისტოს №525 ბრძანებით „მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგახიზაციებში“;

ბ) მშრომელთა მიღებისათვის შემოიღონ დღეები და საათები დაწესებული ნორმის მიხედვით; აწარმოონ მშრომელთა მიღებისა და განცხადება-საჩივრების შემოსვლისა და გასვლის ზუსტი აღრიცხვა;

გ) მშრომელთა წერილებზე პასუხების გაცემისას მკაცრად დაიცვან დაწესებული დრო.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელთა წერილების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია ერთ თვეზე მეტი დრო, მიიღონ დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელის სპეციალური ნებართვა. დაგვიანების მიზეზის შესახებ უნდა აცნობონ ავტორს;

დ) მოქალაქეთა განცხადება-საჩივრები განიხილონ გულდასმით, საფუძვლიანად და წერილების ავტორებს გაუგზავნონ სწორი და ამომწურავი პასუხები;

ე) კონტროლზე აიყვანონ ყველა ის განცხადება-საჩივარი, რომლებშიც მტკივნეული და საყურადღებო საკითხებია დასმული; მკაცრი კონტროლი განახორციელონ დაწესებული საკითხების სწორი და დროულად გადაწყვეტისათვის;

ვ) ასსრ განათლების მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და განათლების სისტემის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა პირადად აწარმოონ მოქალაქეთა მიღება.

2. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების ინსპექტირების დროს, როგორც წესი, ადგილებზე შეამოწმონ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა, შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივ გაატა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რონ საჭირო ღონისძიებანი და შედეგების შესახებ მოახსენონ მიმ-ვლინებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) და კადრე-ბის განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძემ) სისტემატური კონტროლი გა-უწიონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
## 1974 წლის 16 იანვრის ბრძანება № 26

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა გასვლის აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არსებული მასალებით და ადგილზე ჩატარებული შემოწმებით ირკვევა, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ერთი ნაწილი სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა სამინისტროს მიერ ადგილებზე დაშვებული შესაბამისი ბრძანებების შესრულებას, რის გამო რესპუბლიკაში კვლავ ადგილი აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან რვაკლასდაუმთავრებელ მოსწავლეთა გადაყვანას პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლებიდან მოსწავლეთა გარიცხვის შემთხვევებს ქალაქებისა და რაიონების ალმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან შეთანხმების გარეშე.

აფხაზეთის ასსრ-ში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების თანხმობის გარეშე პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადაყვანილია IV-VIII კლასების 27, ხოლო საღამოს სკოლებში 94 მოსწავლე; აჭარის ასსრ-ში შესაბამისად—104 და 30, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 87 და 7, ქ. თბილისში — 145 და 108 და ა. შ.

ამ ტიპის სკოლებში, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაზე კონტროლისა და აღმზრდელობითი მუშაობის ერთგვარად შესუსტების გამო, იზრდება მოსწავლეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა. ქ. გაგრის საღამოს საშუალო სკოლის არასრულწლოვანი მოსწავლეები: ა. გულორდავა და ა. ქანთარია სკოლიდან გაირიცხნენ ქურდობისათვის, ხოლო რ. შენგელია ხულიგნობისათვის; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელ არნეტის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე დ. თედეევს,

რომელიც პროფტექნიკურ სასწავლებელში გადაიყვანეს, ბავშვის მოკვლისათვის 6 წლით პატიმრობა მიესაჯა; ქ. თბილისის საღამოს მე-13 საშუალო სკოლის არასრულწლოვანებმა: ა. სონღულაშვილმა და ტ. ჩოკოშვილმა ჩაიდინეს ქურდობა; ქ. თბილისის საღამოს მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლემ ზ. ფარადიანმა ჩაიდინა ქურდობა. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილებით იგი საბჭოთველყურეოდ გადაეცა სკოლას, რომელმაც ვერ უზრუნველყო სათანადო აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, რის გამო ბ. ფარადიანმა განმეორებით ჩაიდინა მძიმე დანაშაული, დაჭრა და გაძარცვა ტაქსის მძღოლი.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან გარიცხულია 178 მოსწავლე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ სკოლებიდან — 37, აჭარის ასსრ სკოლებიდან — 41, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლებიდან — 7, ქ. ფოთის სკოლებიდან — 8, ახალქალაქის რაიონის სკოლებიდან — 5, ზუგდიდის რაიონის სკოლებიდან — 6, მახარაძის რაიონის სკოლებიდან — 7, წყალტუბოს რაიონის სკოლებიდან — 6 მოსწავლე და ა. შ.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IV-VIII კლასების მოსწავლეთა პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს სკოლებში გადაყვანისა და სკოლებიდან მოსწავლეთა გარიცხვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღკვეთონ დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან რვაკლასდაუმთავრებელ მოსწავლეთა გადაყვანა პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და საღამოს სკოლებში ქალაქებისა და რაიონების ალმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დადგენილების გარეშე;

ბ) არ დაუშვან სკოლებიდან მოსწავლეთა გარიცხვის არცერთი შემთხვევა ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან შეთანხმების გარეშე;

გ) აკრძალონ ე. წ. უდისციპლინო მოსწავლეთა სკოლიდან სკო-

ლაში გადაყვანა, როგორც პედაგოგიურად ყოვლად გაუმართლებელი ღონისძიება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ზუსტად აღრიცხონ მეთვალყურეობას მოკლებული არასაიმედო ოჯახებში მყოფი ბავშვები და მოზარდები. დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად იზრუნონ მათდამი კონტროლის გაძლიერებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

ე) მკვეთრად გააძლიერონ მუშაობა ბავშვთა უზედამხედველობისა და დანაშაულებრივი მოქმედების აღმოსაფხვრელად. ყურადღების გარეშე არ დატოვონ მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევა. გაატარონ პედაგოგიურად გამართლებული ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა სწორ აღზრდას, მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა პასუხისმგებლობის გაზრდას და არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების დაძლევას.

2. აღნიშნული ბრძანება განიხილონ ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა სახალხო განათლებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე, პერიოდულად გააანალიზოს ამ საქმეში არსებული მდგომარეობა და საჭირო შემთხვევაში საკითხი მოამზადოს **კოლეგიაზე** განსახილველად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1973 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება № 999, 1973 წლის 27 დეკემბერი

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1972-1973 სასწავლო წელს ჩატარებული გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი და 1973 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლებში 1972-1973 სასწავლო წელს ორგანიზებულად დაიწყო და საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩატარდა გადასაყვანი, გამოსაშვები და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები.

სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი მაღალი პედაგოგიური პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს და ობიექტურად შეაფასა მოსწავლეთა ცოდნა. ამ მხრივ გამოირჩევიან თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ვ. მელაძე), 42-ე (დირექტორი ო. ლალანიძე), 77-ე (დირექტორი გ. კობახიძე), 126-ე (დირექტორი ც. ლეჟავა), მე-60 (დირექტორი კ. ვადაჭკორია), 66-ე (დირექტორი რ. ნინუა), ბათუმის სალიბაურის № 2 სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ი. დიასამიძე), სოხუმის მე-4 (დირექტორი ნ. ბოკუჩავა), რუსთავის საღამოს (ცვლის) (მე-2 დირექტორი კ. ჯოლია), ჯავის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ი. კოჩიევი), ქ. ცხაკაიას მე-2 (დირექტორი ნ. გუგუნავა), ზუგდიდის 1-ლი (დირექტორი შ. ხუბულავა), გურჯაანის რაიონის ვეჯინის (დირექტორი შ. გაბიტაშვილი), გორის 1-ლი (დირექტორი ვ. ჩიკოიძე) და სხვა საშუალო სკოლები.

ამ და ზოგიერთ სხვა სკოლაში გამოცდები წარმოადგენდა სკოლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული მთელი მუშაობის შეჯამებას. საგამოცდო კომისიები ითვალისწინებდნენ იმას, რომ მოსწავლე არცერთი სახის სასწავლო მეცადინეობის პირო-

ბებში არ იმყოფება ისეთ დაძაბულ მდგომარეობაში, როგორშიც ცოდნის შემოწმებისა და შეფასების დროს, ამიტომ მათ გამოცდებზე შექმნეს ისეთი ატმოსფერო, როცა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება ობიექტურად, მშვიდ, ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად აღნიშნულისა, გამოცდებზე შეიმჩნეოდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. ზოგიერთი საგამოცდო კომისია არაკეთილსინდისიერად მოეკიდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებასა და შეფასებას, გამოიჩინა ლიბერალობა, გაუსწორებელს ტოვებდა მოსწავლეთა მიერ დაშვებულ მრავალ შეცდომას. იყო შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა ცოდნის დაახლოებით ერთნაირი დონე სხვადასხვაგვარ შეფასებას ღებულობდა. ასეთი სახის შეცდომები გამოვლინდა ქართული ლიტერატურის წერითი ნამუშევრების შემოწმებისას რუსთავის მე-17 (მასწავლებელი ნ. წიკლაური), თეთრი წყაროს ქართული (დირექტორი ლ. ცხვედიანი, მასწავლებელი ლ. ჯიხჯიხაძე), ბათუმის 1-ლი (დირექტორი დ. მახარაძე, მასწავლებლები ო. გოგიშვილი, მ. ბორჩხაძე), ხულოს (დირექტორი ი. შავაძე, მასწავლებელი ვ. თავართქილაძე), ხობის 1-ლი (დირექტორი ა. ბერაია, მასწავლებელი დ. ახალაია), შუახევის რაიონის ოლადაურის (დირექტორი ვ. მიქელაძე, მასწავლებელი შ. მიქელაძე) საშუალო სკოლებში.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგჯერ, საგამოცდო კომისიებმა გამოიჩინეს უპასუხისმგებლობა და არაკეთილსინდისიერება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა, განსაკუთრებით ოქროს მედლით დასაჯილდოებელ კანდიდატთა წერითი ნაშრომების გასწორებისას. ნაშრომებში არ არის შემჩნეული ყველა შეცდომა და ისინი დარჩენილია სათანადო შენიშვნის გარეშე; გამსწორებლების მიერ თითოეული ნაშრომის ფურცლის თავისუფალ ნაწილზე ან ბოლოს აღნიშნული არ არის, რა ხასიათისა და რა რაოდენობის შეცდომებია დაშვებული და ნაწერები შეფასებულია ლიბერალურად; ნაშრომები, რომლებშიაც დაშვებულია უხეში ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილისტური შეცდომები, ამასთან, ზოგჯერ თემა სრულიად არ არის გახსნილი, შეფასებულია „ხუთზე".

ცუდად იყო შემოწმებული ოქროს მედლის კანდიდატების საკონტროლო და საგამოცდო ნამუშევრები თბილისის 52-ე (მასწ. ვ. ხავასარდოვა), 63-ე (დირექტორი მ. ხუციშვილი, მასწ. ი. შოთა-

ძე, ა. ამირხანოვა), 38-ე (დირექტორი დ. სტეცენკო, მასწ. ა. სატუროვა), ქ. ცხინვალის მე-6 (დირექტორი ო. გასიევი ,მასწ. ი. ვილენჩიკი), გორის მე-6 (დირექტორი ც. მეხუზლა, მასწ. ქ. ჩიტაძე), გალის მე-3 (დირექტორი შ. ფარულავა, მასწ. ნ. პიტალსკაია) და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის საგამოცდო კომისიების მიერ.

ზოგიერთ სკოლაში ხდებოდა „შპარგალკებიდან“ გადაწერა. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლაში ოქროს მედალოსნების წერითი ნამუშევრები ერთმანეთს ემთხვეოდა და სიტყვასიტყვით გადმოწერილი იყო მეთოდური სახელმძღვანელოდან, გამოვლინდა აგრეთვე სიყალბის შემთხვევებიც: გუდაუთის მე-5 საშუალო სკოლამ (დირექტორი ვ. სამანჯია, მასწ. გ. დერიაბინა) მედლის კანდიდატის საკონტროლო ნამუშევრები ხელახლა გადაწერილი და შემოწმებული წარმოადგინა, ხოლო ქ. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლამ (დირექტორი გ. ჩუკბანი, მასწ. ნ. კრასინსკაია) მედლის კანდიდატის 1972 წლის ოქტომბერ-ნოემბრის საკონტროლო წერები წარმოადგინა ისეთ რვეულებზე შესრულებული, რომლებიც გამოშვებული იყო 1973 წელს.

აბაშის რაიონის 1-ლი მაისის (დირექტორი შ. ჯანჯღავა, მასწ. ნ. ჯავახიშვილი), ჭიათურის რაიონის ზოდის (დირექტორი და მათემატიკის მასწავლებელი ლ. გაბრიჭიძე) საშულო სკოლების კურსდამთავრებულ ოქროს მედლის კანდიდატებს მათემატიკაში შეცდომები ჰქონდათ დაშვებული ლოგარითმული განტოლების ამოხსნაში, რაც გასწორებისას შენიშნული არ იყო და ნაშრომები ლიბერალურად შეფასებულია ნიშან „ხუთზე“. ანლოგიური მდგომარეობაა ქ. თბილისის მე-4 (ყოფილი დირექტორი ა. ქურიძე, მასწ. ნ. ლებანიძე), 56-ე (დირექტორი ე. ცერცვაძე, მასწ. ა. ბახტაძე), სოხუმის მე-17 (დირექტორი შ. ლასურია, მასწ. ე. თუთბერიძე), გუდაუთის მე-5 (დირექტორი ვ. სამანჯია, მასწ. ლ. კარაკაზიანი), ბათუმის 23-ე (დირექტორი ს. ტივაძე, მასწ. გ. კოჟიაშვილი), რუსთავის მე-3 (დირექტორი ი. სკრინოკოვი, მასწ. ტ. ორლოვა), ლანჩხუთის 1-ლი (დირექტორი გ. ხალვაში, მასწ. გ. იმნაძე), გალის მე-3 (დირექტორი შ. ფარულავა, მასწ. ს. პაპასკუა) საშუალო სკოლებში.

ბათუმის 1-ელ (დირექტორი დ. მახარაძე, მასწ. ნ. მახარაძე, ვ. თალაკვაძე და თ. კვაჭაძე), ცხინვალის მე-6 (დირექტორი ო. გასიევი, მასწ. ა. ჯიკაევი, ნ. ლანგი, ა. კაბისოვა) საშუალო სკოლების X კლასებში მათემატიკის გამოცდების დროს, ადგილი ჰქონდა უწესრიგობას, მოსწავლეები დამოუკიდებლად არ მუშაობდნენ, იყო

„შპარგალკების“ გამოყენების ცდები, რომლის აღსაკვეთად საგამოცდო კომისია გადამწყვეტ ზომებს არ იღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ხაშურის რაიონის ტეზრის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. ლომიძე) X კლასების მოსწავლეებმა. თითქმის ერთი საათის განმავლობაში არც ერთ მოსწავლეს მუშაობა არ დაუწყია. შემდეგ მასწავლებელმა ლ. ჩიტიშვილმა მისცა მოსწავლეებს განმარტება. როდესაც მასწავლებელს მიეთითა, რომ მას ამის უფლება არ ჰქონდა, გამოიჩინა თავშეუკავებლობა და გააკეთა მასწავლებლისთვის შეუფერებელი განცხადება. შემდეგ იგი შეეცადა მოსწავლეებისათვის ინდივიდუალურად მიეცა განმარტება მაგალითებზე, ამოცანის გამოყვანა კლასში ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო.

წითელწყაროს რაიონის სოფ. ოზაანის საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. პოპიაშვილი) მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლებს ე. მეხროშვილსა და ლ. გიგოლაშვილს შორის არსებობს არაკოლეგიალური დამოკიდებულება, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა დაჯგუფებები, რაც იწვევს დაძაბულ მდგომარეობას. X კლასში, მათემატიკის წერის დროს, ფიზიკის მასწავლებლის დ. გიგოლაშვილის დის შვილს ფანჯრიდან მისი ხელით დაწერილ „შპარგალკა“ მიაწოდეს.

თბილისის 95-ე საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ავაქიანმა IX კლასის 6 მოსწავლეს ხელმეორედ აწერინა სომხურ ლიტერატურაში და ლიბერალურად შეაფასა დადებითი ნიშნით. ამის შესახებ იცოდა 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ კ. სუჯაშვილმა, მაგრამ მის აღსაკვეთად არავითარი ზომები არ მიიღო.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არ იცავს ობიექტურობას, არ აწესებს მასწავლებლის სრულ პასუხისმგებლობას შეფასების სიზუსტისათვის, ვერ აღწევს იმას, რომ მასწავლებლები კეთილსინდისიერად, მოვალეობის სრული შეგნებით, პასუხისმგებლობის გრძნობით აფასებდნენ მოსწავლეთა ცოდნას, ივიწყებენ, რომ სუბიექტურობა, ნიშნების ხელოვნურად დაკლება ან გადიდება პედაგოგიური ხასიათის დანაშაულია. მასწავლებლების გარკვეული ნაწილი ცოდნის შემოწმების საქმეში არ ახორციელებს მკაცრ და ბოლომდე სამართლიან მოთხოვნას. მასწავლებლები, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნის შეუფასებლობას იჩენენ, სწავ-

ლას ხდიან არასაინტერესოდ და მოსწავლეთა შორის კარგავენ ყოველგვარ პატივისცემასა და ავტორიტეტს.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა უკანასკნელ წლებში გაატარეს საჭირო ზომები სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრისა და ამ მიმართულებით ღონისძიებათა საერთო სისტემაში ცოდნის თანმიმდევრულ შემოწმებასა და შეფასებაში ლიბერალიზმის დაძლევისათვის.

სკოლის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საერთო მიმართულება და შინაარსი ითვალისწინებს ყველა ძირითადი მეცნიერების საფუძვლების შესწავლას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღსაზრდელად. ამასთან, საშუალო სკოლის პროგრამები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო ცოდნის მიწოდებას იმ მოცულობით, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში. რესპუბლიკის ბევრი სკოლა და მასწავლებელთა კოლექტივი ამ მოთხოვნების შესაბამისად მუშაობს, რის შედეგად 1972-1973 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, განსაკუთრებით ოქროს მედლითა და სიგელით დაჯილდოებულებმა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების უფრო მტკიცე ცოდნა გამოამჟღავნეს, ვიდრე წინა წლებში.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სამივე ფორმაზე სულ ჩაირიცხა 12.579 კაცი. წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში 1972-1973 სასწავლო წელს საშუალო სკოლის 8735 კურსდამთავრებული. მათ შორის, 70-მა ოქროს მედალოსანმა „5"-ზე ჩააბარა მაპროფილებელი საგნები, ხოლო 85 ჩაირიცხა კონკურსის შედეგად. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უმაღლეს სასწავლებლებში, არაზუსტი ცნობებით, გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა 47 ოქროს მედალოსანი.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის სკოლების დიდი ნაწილის მასწავლებელთა კოლექტივები ვერ ახერხებენ სათანადო დონეზე წარმართონ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება და კურსდამთავრებულებს მისცენ მკვიდრი ცოდნა პროგრამით გათვალისწინებული მასალების ფარგლებში.

საშუალო სკოლების გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე შესრულებული წერითი ნაშრომების ანალიზი ადასტურებს, რომ ზოგიერთი სკოლის კურსდამთავრებულებს არა

აქვთ მშობლიური ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალის-წინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, არაიშვიათად ვხვდებით მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარობის, ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის დავიწყების ან პრაქტიკაში მისი გამოყენების უუნარობასა და ლექსიკური შეზღუდულობის შემთხვევებს. კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად იცნობს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოების ტექსტს, რის გამოც ვერ ერკვევა მის დედააზრსა და დანიშნულებაში. ნამუშევრების გარკვეულ ნაწილს აშკარად ეტყობა, რომ მოსწავლეებს არ აქვთ აზრის დამოუკიდებლად, მწყობრად, ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემის უნარ-ჩვევები, ზოგ ნაწერს აშკარად ეტყობა მოსწავლის აზროვნების შეზღუდულობა, ხშირად თხზულებები გადატვირთულია ციტატებით.

გამოცდებმა გვიჩვენა, რომ სკოლების კურსდამთავრებულებს არ შეუძლიათ უცხოურ ენაზე უბრალო, მარტივი საუბარი, ღარიბია მათი ლექსიკონი, გრამატიკულ ცოდნას ვერ იყენებენ სასაუბრო პრაქტიკაში, უჭირთ მარტივ წინადადებათა შედგენა და თარგმნა, სუსტად არიან დაუფლებული საპროგრამო მასალის ცალკეულ მონაკვეთებს, მოისუსტებენ ორთოგრაფიაში. იმ სკოლებშიც კი, სადაც უცხოური ენები გაძლიერებულად ისწავლება, კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ცოდნის მინიმუმის გამომჟღავნებას, ყოველივე ეს თავისთავად მეტყველებს ამ საგნების სწავლებაში დამკვიდრებულ ფორმალიზმზე. თბილისის 24-ე, რუსთავის მე-2 და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლის ბევრმა კურსდამთავრებულმა, რომელთაც საშუალო განათლების ატესტატში ნიშანი „5“ ჰქონდათ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

სკოლების ერთ ნაწილში დაბალია მოსწავლეთა მომზადება მათემატიკაში, რაც ნათლად დადასტურდა საშუალო განათლების ატესტატისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. კურსდამთავრებულთა ნაწილმა არ იცის მოქმედებები ათწილადებზე, როგორ იცვლება მოქმედებათა შედეგები კომპონენტების ცვლილებასთან დაკავშირებით, ვერ ადგენენ მოპირდაპირენიშნიანი რიცხვების განაყოფის ნიშანს, ვერ ხსნიან უმარტივეს ტრიგონომეტრიულ განტოლებას, ვერ ადგენენ ტრიგონომეტრიულ იგივეობაში შემავალ არგუმენტის დასაშვებ მნიშვნელობებს. არ იციან ნამრავლის, წილადისა და ხარისხის ლოგარითმების ფორმულების გა-

მოყვანა, მაჩვენებლიანი და ლოგარითმული ფუნქციების თვისებები და გრაფიკები, მრავალწახნაგებისა და მრგვალი სხეულების სრული ზედაპირის ფართობებისა და მოცულობების გამოსათვლელი ფორმულების გამოყვანა, ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოსახვა. უჭირთ ხახაზების შესრულება, რაც იმითაცაა გამოწვეული, რომ ხაზვის სწავლება, რომელიც ზრდის და ავითარებს მოსწავლის გონებრივ ძალებს, თვალზომას ანუ სივრცეში ორიენტირებას, სიზუსტეს, სიმეტრიის გრძნობასა და წვრთნის მოზარდის ხელს, სკოლეში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ხაზვაში ნიშან „ხუთის" მქონე კურსდამთავრებულებს არ აქვთ ნახაზის შესრულების ჩვევები, არ შეუძლით მარტივი სახის ტექნიკური ხასიათის ნახაზებში გარკვევა, პირობითი ნიშნების წაკითხვა, ნახაზების გაგება. მათ მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ცუდად ერკვევა ფიზიკის ძირითად საკითხებში, როგორიცაა: ერთეულთა სისტემები, გარემოს გავლენა მუხტების ურთიერთქმედებაზე, ომის კანონი მთელი წრედისათვის, ძაბვა, ძაბვის ვარდნა და ე. მ. ძ. დენი გაზებში, ელექტრომექანიკური ინდუქცია, ცვლადი დენის გამართვა, ტრანსფორმატორი, რხევითი კონტური, მილაკიანი გენერატორი, ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივება და მიღება, სინათლის ტალღური და ქვანტური ბუნება, ატომის აგებულება და ა. შ.

კურსდამთავრებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეუძლია თვისებრივი და გაანგარიშებითი ამოცანების ამოხსნა, მასწავლებლები ან სულ არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, ან კმაყოფილდებიან მარტივი ამოცანების ამოხსნით, რომლებიც მხოლოდ მზა ფორმულებში რიცხობრივი მონაცემების ჩასმით ამოიხსნება.

კურსდამთავრებულებს ქიმიაში არ აქვთ ამოცანების ამოხსნის ელემენტარული ცოდნა, უხეშ შეცდომებს უშვებენ ქიმიურ ფორმულებსა და განტოლებებში, მეტალებს ორატომიანი მოლეკულების სახით წარმოადგენენ, სუსტად იციან თეორიული მასალა: ქიმიური ბმების ტიპები, მარილთა ჰიდროლიზი, ელექტროლიტური დისოციაცია, ელექტროლიზი, რეაქციათა მიმდინარეობის პირობები.

განსაკუთრებით სუსტი ცოდნა აქვთ კურსდამთავრებულებს ორგანულ ქიმიაში. არ იციან ორგანულ ნაერთთა აღნაგობა და მისი გავლენა ქიმიურ თვისებებზე, ქიმიური რეაქციების მექანიზმი, ნაერთთა გარდაქმნა და გამოყენება, ბევრ საკითხზე საერთოდ არ იძლევიან პასუხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ისტორიაში გამოცდების შედეგები გვიჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი ვერ ერკვევა ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, ვერ ახერხებს კონკრეტულად დაახასიათოს ამა თუ იმ ეპოქაში ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი თუ ხელშემშლელი ძალები, არ იციან ქვეყნის ისტორიის ძირითადი პერიოდები, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, გლეხთა ომები და მათი ისტორიული მნიშვნელობა, კულტურის მიღწევები...

მიუხედავად დასახელებული და სხვა საგნების სწავლების ასეთი დაბალი დონისა, მრავალ სკოლაში იწერება გაუმართლებლად მაღალი ნიშნები, რაც ობიექტურად არ ასახავს მოსწავლეთა ცოდნას მოქმედი პროგრამის ფარგლებში.

სკოლებში კვლავ ფესვგადგმულია ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში. მასწავლებლები, სკოლის ხელმძღვანელობისა და მშობლების წინაშე თავის გამართლების მიზნით, და ხშირად მათი ზეგავლენით, მრავლად წერენ გაუმართლებელ ნიშნებს. არაიშვიათია ისეთი შემთხვევაც, როცა ისინი თვითონ უწყობენ ხელს მოსწავლეებს მზამზარეული ტექსტებიდან დავალებათა გადაწერაში, რაც ძირშივე ჰკვეთს მოსწავლეთა მისწრაფებას საფუძვლიანი დამოუკიდებელი მუშაობისადმი. ამით გაპირობებულია ის, რომ ატესტატებში „5“-სა და „4“-ზე შეფასებული კურსდამთავრებულების მნიშვნელოვანი რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე იჭრება.

ქ. თბილისის 30-ე სკოლიდან (დირექტორი ო. პატარაია, მასწავლებლები გ. დანელია, გ. ნერსესოვი, მ. ხუროძე) უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 27 კურსდამთავრებულმა (მათ შორის ხუთოსანია — 5, ოთხოსანი — 11), 36-ე საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ხომერიკი, მასწავლებლები ლ. მიქაძე, ი. გორდეზიანი, მ. ხურცილავა, რ. სახვაძე) — 10-მა (მათ შორის ხუთოსანი — 1, ოთხოსანი — 4); მე-5 სკოლიდან (მასწავლებლები დ. კოტორაშვილი, ე. ჭიჭინაძე) —

